ხელშეკრულება №213
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. მცხეთა 15.12.2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი", (შემდგომში „შემსყიდველი"), ფონდის უფროსის კახაბერ გვანცელაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კავკასუს მოტორსი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ბაჩიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას ჩაიბაროს შემსყიდველის კუთვნილი 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება და სანაცვლოდ მიაწოდოს შემსყიდველს ერთი ერთეული ახალი, გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალება (შემდგომში საქონელი), ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი (CPV34113100) და გადაიხადოს ავტომანქანის ჩანაცვლების შედეგად წარმოქმნილი ფასთა სხვაობა.

1.2. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასაცემი ავტომობილია:

- „MITSUBISHI L200" (სახ/ნ PZY-848; საიდენტიფიკაციო № MMBJNKB408D019002, გამოშვების წელი 2007);

1.3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მისაწოდებელი ავტომობილია:

- „MITSUBISHI L200 2,5TDI", გამოშვების წელი 2015.

1.4. ჩასანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების დეტალური აღწერა და ღირებულება მოცემულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო"-ს მიერ გაცემულ ექსპერტიზის დასკვნაში (ექს. დასკვნა N007040315) რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასაცემი ავტომობილების („MITSUBISHI L200"") ღირებულება შეადგენს: 17 000 (ჩვიდმეტიათასი) ლარს.

2.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მისაწოდებელი ავტომანქანის „MITSUBISHI L200 2,5TDI", ღირებულება შეადგენს 24 000 (ოცდაოთხიათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში 14.12.2015 წლის მდგომარეობით არსებული ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, რაც შეადგენს 57 672 ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ჩასანაცვლებელი და მისაწოდებელი ავტომანქანების ღირებულების სხვაობით და შეადგენს 40 672 (ორმოციათას ექვსასსამოცდათორმეტი) ლარს.

2.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ყველა თანმდევ ხარჯს ავტომობილის რეგისტრაციის ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ავტომანქანის მიწოდება შემსყიდველისათვის 2016 წლის 1 მარტამდე. შემსყიდველი ჩასანაცვლებელ ავტომანქანას გადასცემს მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს გააფორმებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტომანქანის რეგისტრაციას განახორციელებს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი გაბიძაშვილი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

4.3. საქონლის მიღებისას და/ან საბოლოო შემოწმებისას გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებით;

5.1.2. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და

ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2.2. უზრუნველყოს ჩასანაცვლებელი ავტომანქანების გადაცემა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2.3. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ახალი ავტომანქანის „MITSUBISHI L200 2,5TDI", სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურების ხარჯების ანაზღაურება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ავტომანქანების ჩანაცვლების შემდგომ წარმოქმნილი ფასთა სხვაობის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გადაცემული ავტომანქანების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურების ხარჯების ანაზღაურება ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაცემის დღისათვის;

5.4.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.4.3. გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

5.4.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის -ავტომაქანის დაზიანებული ან დეფექტური ნაწილების შეკეთება, ან შეცვლა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.4.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.5. შემსყიდველი და მომწოდებელი ვალდებულნი არიან შეადგინონ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი და ხარისხიანი და იგი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2. გარანტიის მოქმედების ვადა და პირობები განსაზღვრულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საგარანტიო წიგნში, რომელიც თან ერთვის მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებულ ავტოსატრასპორტო საშუალებას.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის -ავტომაქანის დაზიანებული ან დეფექტური ნაწილების შეკეთება, ან შეცვლა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.3 აუცილებელია მოხდეს საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების 100 %-ს ოდენობით, რისთვისაც მიმწოდებელი ვალდებული იქნება ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში საბანკო ან/და სადაზღვევო დაწესებულებიდან წარმოადგინოს 57 672 ლარზე საბანკო გარანტია, საიდანაც ანგარიშსწორება განხორციელდება მხოლოდ ნაწილ თანხაზე 40 672 ლარზე. საავანსო თანხასთან დაკავშირებული საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება ექნება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე.

7.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო თანხასთან დაკავშირებული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას.

7.5 საავანსო ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ საავანსო თანხის უპირობო, მიმწოდებლის მიერ გამოუთხოვადი, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარეშე.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.3 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადები დარღვეული იქნება, მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.5 იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების 7.3. პუნქტით განსაზღვრული ვადები დარღვეული იქნება, შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას: გადაუხადოს მომწოდებელს პირგასამტეხლო, მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს, ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან გამოსცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლია აღმოფხვრა.

13.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის გარანტიისა, ან სხვა ვალდებულებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 თებერვლამდე, ხოლო „6.2" პუნქტით განსაზღვრული გარანტიის ვადა და პირობები მოქმედებს ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

ხელშეკრულება შესრულებული და ხელმოწერილია სამი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი შემსყიდველს.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
სსიპ „ტექნოლოგიური
განვითარების ფონდი"
მის: ქ. თბილისი, კოსტავას 33 ა
ს/კოდი: 205298211
ა/ა ხაზინის ერთიანი ანგარიში
სსიპ ,,ტექნოლოგიური განვითარების
ფონდი"-ს უფროსი:

კახაბერ გვანცელაძე

`მიმწოდებელი"
შპს „კავკასუს მოტორსი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 436031768;
მის: ქ. თბილისი, მცხეთა, დ.აღმეშენებლის ქუჩა;
ტელ: +995 (598) 778833
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE72BG0000000892044300
შპს „კავკასუს მოტორსი"-ს
დირექტორი:

მიხეილ ბაჩიაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

15 დეკემბერი 2015 წელი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ 1 (ერთი) ერთეული ავტომანქანის გამარტივებული წესით სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით შერჩეულ მიმწოდებელთან **შპს „კავკასუს მოტორსი“**-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს უფროსი /კახაბერ გვანცელაძე/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს უფროსის პირველი მოადგილე: /ლაშა დალაქიშვილი/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს უფროსის მოადგილე: /შოთა საღრიშვილი/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: /გიორგი გაბიძაშვილი/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს ეკონომიკური სამსახურის უფროსი: /მამია მორალიშვილი/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე: /ლაშა ფაიქიძე/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს ეკონომიკური სამსახურის საფინანსო განყოფილების უფროსი: /ზვიად ჭითავა/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“-ს ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი: /შალვა ქაჯაია/

სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ იურიდიული განყოფილების უფროსი: /არჩილ კერვალიშვილი/